



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC)

საშინაო შრომა

საინფორმაციო ბიულეტენი

ივნისი, 2023 წ.



ბიულეტენი მომზადდა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის დაფინანსებით.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EMWI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ბიულეტენის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

შინაარსი

საშინაო შრომის ცნება	2
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები	3
აუნაზღაურებელი საშინაო შრომა და გენდერული უთანასწორობა	4
საშინაო შრომის არაფორმალური სექტორი	5

საშინაო შრომის ცნება

საშინაო შრომა
(შინშრომა)

ანაზღაურებადი
საშინაო შრომა

არაანაზღაურებადი
საშინაო შრომა

საჯარო სექტორში
დასაქმებულები

არაფორმალურ
სექტორში
დასაქმებულები

კერძო სექტორში
დასაქმებულები

საშინაო შრომა (შინ შრომა) - ეწოდება დასაქმების ისეთ ფორმას, რომელიც მოიცავს ზრუნვის სამუშაოს, მათ შორის, ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და სხვებზე, როგორც ანაზღაურებად ზრუნვას, ასევე, ზრუნვას ანაზღაურების გარეშე. ის მოიცავს ბავშვების, ხანდაზმულების, ავადმყოფებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოვლას, ასევე, საშინაო სამუშაოების შესრულებას, როგორებიცაა: სახლის დასუფთავება, საკვების მომზადება, რეცხვა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოწესრიგება, ბაღისა და ეზოს სამუშაოები, ხეხილის მოვლა, საკვები პროდუქტების შეძენა, სახლის სარემონტო სამუშაოები, ოჯახის წევრების საჭიროებების შესაბამისად საყიდლებზე სიარული, ამა თუ იმ სერვისის მისაღებად ოჯახის წევრის თანხლება და ტრანსპორტირება, შინაური ცხოველების მოვლა და სხვ.¹

პირები, რომლებიც **ანაზღაურებად** საშინაო შრომას ასრულებენ, ოჯახებში, ძირითადად, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე საქმდებიან, ესენი არიან:

1. დამლაგებლები;
2. ძიძები;
3. მოხუცების, ავადმყოფების, შშმ პირების მომვლელი;
4. ოჯახის საკვები პროდუქტებით მომმარაგებლები;
5. შინაური ცხოველების მომვლელი;
6. რეპეტიტორები;
7. ექთნები/სანიტრები, რომლებიც ავადმყოფებს მარტივ სამედიცინო მანიპულაციებს უტარებენ (ინტრავენური გადასხმა, ინექცია კუნთოვან ქსოვილებში, სისხლში შაქრის დონის გაზომვა და სხვ.);
8. ფიზიოთერაპევტები (მასაჟის სერვისი);
9. ფიტნეს ინსტრუქტორები (ფიზიკური აქტივობების, ვარჯიშის სერვისი);
10. მუშები, რომლებიც ასრულებენ სარემონტო სამუშაოებს და სხვ.

არაანაზღაურებად საშინაო შრომას ასრულებენ: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და ა.შ. მათი უმრავლესობა ქალია. ქალების მიერ ამგვარი სამუშაოების შესრულების ხანგრძლივობა 4,8-ჯერ აღემატება კაცების იმავე მაჩვენებელს (ქალების მიერ არაანაზღაურებად საშინაო შრომაზე დახარჯული დროის წილი შეადგენს 17,8%-ს, კაცების _3,7%-ს).²

¹დროის გამოყენების კვლევა საქართველოში 2020-2021, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გვ. 50, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-12/GTUS%20Report%20GEO%20WEB%20%281%29.pdf?fbclid=IwAR0DKrxy7RbjeRDcGpOyDqz7scxGHVBEoAVVdUus0Bu09isTwaJ5c BlqIq>

²დროის გამოყენების კვლევა საქართველოში 2020-2021, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გვ. 14, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-12/GTUS%20Report%20GEO%20WEB%20%281%29.pdf>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შსო) 2011 წელს შეიმუშავა #189 კონვენცია „შინ მომუშავეთა შესახებ“, რომლის მიზანია ღირსეული შრომის ხელშეწყობა და იმის მიღწევა, რომ აღსრულდეს დეკლარაციები „ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ“ და „სოციალური სამართლიანობა სამართლიანი გლობალიზაციისთვის“.

შსო აღნიშნავს, რომ საშინაო შრომა კვლავ დაუფასებელი და უხილავია და, ძირითადად, სრულდება ქალებისა და გოგონების მიერ, რომელთაგან ბევრი მიგრანტი ან შეჭირვებული სოციალური მდგომარეობის მქონე ოჯახებიდანაა. ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან: დისკრიმინაციის, არასამართლიანი სამუშაო პირობებისა და ადამიანის უფლებების სხვა დარღვევებისგან.

განვითარებად ქვეყნებში (მაგ, საქართველო), სადაც ფორმალური დასაქმების ისტორიულად მწირი შესაძლებლობებია, შინ მომუშავეები შეადგენენ ეროვნული სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს, სოციუმში კი ეკონომიკური კეთილდღეობის ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან.

შინ მომუშავეები, ამავდროულად, ეროვნული შრომის კანონმდებლობისა და სოციალური დაცვის გარანტიების მიღმაც რჩებიან. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია დასაქმების არაფორმალური ხასიათით, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებლის, ამ შემთხვევაში ოჯახების მხრიდან კანონმდებლობაში გაუცნობიერებლობით. ერთ-ერთი მიზეზი, ასევე, არის შრომის ბაზრის ინსტიტუტების, მათ შორის, შრომის ინსპექციის მიერ, ოჯახის სამუშაო ადგილად აღქმის პრობლემა.

„შინ მომუშავეთა შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის მთავარი მიზნები:

- შინ მომუშავეების აღიარება დასაქმებულებად - მათ უნდა ჰქონდეთ დაცვის ისეთივე მექანიზმები, როგორც ყველა სხვა დასაქმებულს;
- შინ მომუშავეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება

საქართველოს და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს მთელ რიგ ვალდებულებებს, მათ შორის, შრომით ურთიერთობებში შსო-ს სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების დანერგვას, რაც, ასევე, გულისხმობს არაფორმალური სექტორის გამოვლენას და მისი ფორმალიზებისკენ სახელმწიფოს ღონისძიებებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #189 კონვენცია წევრ ქვეყნებს შიდა კანონმდებლობაში ისეთი ინსტრუმენტებისა და აღსრულების მექანიზმების შექმნაზე მიუთითებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საშინაო შრომაში დასაქმებული პირების **ღირსეული შრომის, სამუშაო საათების, შესვენებისა და შვებულების დროის დარეგულირებას, ეფექტიანი ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბებას, დასაქმებულის უსაფრთხო სამუშაო პირობებით უზრუნველყოფას და შრომითი ხელშეკრულებების მოწესრიგებას**³

³ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), (2020), [არაფორმალური საშინაო შრომა საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკების შუქზე](#).

აუნაზღაურებელი საშინაო შრომა და გენდერული უთანასწორობა

აუნაზღაურებელი საშინაო შრომა ისეთი შრომაა, რომელსაც ადამიანები უსასყიდლოდ გასწევენ საკუთარ ოჯახებში. ეს ძირითადად ბავშვის მოვლისა და სხვა საოჯახო საქმიანობებია, რომელსაც ყველაზე ხშირად ქალები ეწევიან.

„უსასყიდლო ზრუნვასთან დაკავშირებული შრომა არის ის, რის გამოც ქალები ხშირად ხანგრძლივი პერიოდით ეთიშებიან შრომით საქმიანობას. ეს კი, გარდა იმისა, რომ გავლენას ახდენს ქალების შემოსავლის ოდენობაზე, ასევე, აუარესებს ქალთა მდგომარეობას შრომის ბაზარზე დაბრუნების შემდგომ პერიოდში, ვინაიდან გაცდენილი დრო მოქმედებს მათ პროფესიულ კვალიფიკაციასა და კონკურენტუნარიანობაზე.“⁴

ამჟამინდელი მდგომარეობა

მთელ მსოფლიოში ქალები მნიშვნელოვნად მეტი დროით ასრულებენ აუნაზღაურებელ საშინაო სამუშაოს, ვიდრე - მამაკაცები;

საშინაო შრომის პასუხისმგებლობის ეს არათანაბარი განაწილება დაკავშირებულია დისკრიმინაციულ სოციალურ ინსტიტუტებსა და გენდერული როლების სტერეოტიპებთან;

გენდერული უთანასწორობა აუნაზღაურებელ საშინაო შრომაში არ გაითვალისწინება შრომის ბაზრის გენდერულ ანალიზში, როგორცაა სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე), ხელფასები და სამუშაოს ხარისხი, რაც არ იძლევა რეალურ სურათს შრომის ბაზარზე ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით (ამ მონაცემის გათვალისწინებით ქალების ჩართულობა ამჟამინდელზე უფრო დაბალი აღმოჩნდება). საქართველოში საშინაო სამუშაოების შესასრულებლად ქალები კაცებზე დაახლოებით ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავენ.

⁴ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, (2021), [ფორმალიზაციისა და შრომითი უფლებების დაცვის გზები ზრუნვის ეკონომიკაში](#).

ხელშეკრულებების შესრულებასთან (როგორცაა, მაგალითად, ანაზღაურებადი შრომა) და თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებზე კაცები ქალებზე თითქმის ორჯერ უფრო მეტ დროს ხარჯავენ. ე.ი., ერთი მხრივ, ქალები უფრო მეტ დროს უთმობენ საშინაო შრომას, ვიდრე - კაცები და, მეორე მხრივ, კაცები უფრო მეტ დროს უთმობენ ანაზღაურებად შრომასა და დასვენებას, ვიდრე - ქალები. ⁵ დროის ამგვარი უთანასწორო გადანაწილება მნიშვნელოვნად ამცირებს ქალების ანაზღაურებად შრომით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ 2021 წელს ევროპის 25 ქვეყანაში ჩატარდა კვლევა „ზრუნვა კრიზისში: გენდერული უთანასწორობა ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ სამუშაოებში COVID-19-ის დროს“.

გამოკითხული 12 წლამდე ასაკის ბავშვთა დედების 61,5%-მა აღნიშნა, რომ პანდემიის პერიოდში მათ მოუწიათ აუნაზღაურებელი ზრუნვის სამუშაოს უფრო მეტი ნაწილის ან მთლიანად საკუთარ თავზე აღება. მამების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 22,4%-ია. გენდერული სხვაობა ყველაზე მცირეა ნიდერლანდებში, მაგრამ იქაც კი, დედების წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ასრულებენ დამატებითი საშინაო სამუშაოს მთლიანად ან უმეტეს ნაწილს, 15,9%-ს შეადგენს, ვიდრე - მამების წილი. ⁶

გენდერული ნორმები ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება, უმრავლესობა მათგანი კი - ოჯახში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო სფერო აუნაზღაურებელი საშინაო სამუშაოს არათანაბარი განაწილებაა. გლობალურად 5-14 წლის გოგონები ყოველდღიურად 160 მილიონზე მეტ საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საშინაო სამუშაოზე, ვიდრე - იმავე ასაკის ბიჭები. ეს უთანასწორობა ძლიერდება მოზარდობისა და ზრდასრულობის ასაკში და განპირობებულია იმ ნორმებით, რომლებიც საზოგადოებაში ქალებისა და გოგონების როლს „ამკვიდრებს“.⁷

⁵ დროის გამოყენების კვლევა საქართველოში 2020-2021, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გვ. 13, <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-12/GTUS%20Report%20GEO%20WEB%20%281%29.pdf>

⁶ OECD (2021), Care giving in Crisis: Gender inequality in paid and unpaid work during COVID-19.

⁷ UNICEF (2022), Gender norms and unpaid work

საშინაო შრომის არაფორმალური სექტორი

საშინაო შრომის არაფორმალურ სექტორში მოიაზრებიან ზრუნვის ეკონომიკაში ჩართული ის პირები, რომლებიც კლიენტის სახლში საქმიანობენ, სტატისტიკურად დაქირავებით დასაქმებულად ითვლებიან, თუმცა ისინი, ძირითადად, დასაქმებულები არიან არაფორმალურად ე.ი. მათთან არ ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები და მათი შემოსავალი არ დეკლარირდება საგადასახადო ორგანოებში.

საქართველოში ოფიციალურად არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა შორის არაფორმალურად დასაქმებულთა წილი 28,8%-ია ⁸, თუმცა ეს მონაცემი არ გამოხატავს საშინაო შრომის ბაზრის არაფორმალური სექტორის რეალურ მასშტაბებს. აუცილებელია, სახელმწიფომ დაიწყოს არაფორმალური დასაქმების გამოვლენის გზების პოვნა და სწორედ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ამ გამოწვევასთან გამკლავება. ამ მიმართულებით ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის ინსპექციის ინსტიტუტის გაძლიერება ეროვნულ დონეზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში 75,6 მილიონი ადამიანი შინ მომუშავეა, რომელთაგან 76,2% - ქალია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უზრუნველყოფენ უმნიშვნელოვანეს მომსახურებას, შინ მომუშავეები ვერ სარგებლობენ ეროვნული შრომის კანონმდებლობით დასაქმებულებისთვის მინიჭებული უფლებებითა და დაცვის მექანიზმებით. სამუშაო პირობები მძიმეა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, არაფორმალურ სექტორში შინ მომუშავეების ხელფასი საშუალოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა ხელფასის 37,6%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია ქალების შემთხვევაში და შეადგენს - 35,1%-ს, მამაკაცებისა - 43,8%-ს. ⁹ ფაქტობრივად, ნამუშევარი საათების ოდენობაც მნიშვნელოვნად აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტს.

როგორ შეიცვალოს ვითარება?

- გამყარებული გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების დაძლევა პირველი ნაბიჯია ქალებსა და მამაკაცებს შორის ზრუნვისა და საშინაო პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხში;
- შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება არაფორმალური შრომის გამოსავლენად;
- სახელმწიფოს წამახალისებელი ღონისძიებები დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის შრომითი ურთიერთობების ფორმალიზების სარგებლიანობასთან დაკავშირებით.

⁸ საქსტატი (2021), „დასაქმება და უმუშევრობა, არაფორმალური დასაქმება“.

⁹ ILO (2021), [Making decent work a reality for domestic workers: Progress and prospects ten years after the adoption of the Domestic Workers Convention, 2011 \(No. 189\)](#).